ყველაზე პატარა კონტინენტი



ავსტრალიის ხსენებაზე, ალბათ, კენგურუ გახსენდება. წაიკითხე ეს ტექსტი და ავსტრალიაზე კიდევ ბევრ რამეს გაიგებ.

ავსტრალია ყველაზე პატარა კონტინენტია. იგი მდებარეობს დედამიწის სამხრეთ ნაწილში. კონტინენტს აღმოსავლეთით ესაზღვრება წყნარი ოკეანე, დასავლეთით – ინდოეთის ოკეანე. კონტინენტზე ერთადერთი ქვეყანაა – ავსტრალია.

ეს პატარა კონტინენტი ბევრი რამით არის **გამორჩეული**. აი, თუნდაც მსოფლიოში უდიდესი მარჯნის **რიფები** გავიხსენოთ. როგორც იცი, რიფი წყალქვეშა კლდეა. მარჯანი კი წყლის ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საცეცებით არის მიმაგრებული ოკეანის ფსკერზე. სწორედ ეს მარჯნები ქმნიან რიფებისა და კუნძულების უდიდეს ჯაჭვს. ის ავსტრალიის სანაპიროებთან 2000 კმ-ზეა გადაჭიმული. მას **ბარიერულ** რიფს უწოდებენ. ბარიერული რიფის დიდი ნაწილი წყალქვეშ არის და წყლის **მიქცევის** დროს გამოჩნდება ხოლმე. რიფი წყალზე მიმოსვლას ხელს უშლის. როგორც ცნობილია, მოგზაურ ჯეიმს კუკის გემიც რიფს წამოედო და ოკეანეში ჩაიძირა. სწორედ ასე აღმოაჩინა მან ეს ულამაზესი და გასაოცარი წყალქვეშა სამყარო.

ავსტრალია დედამიწის ყველაზე მშრალი კონტინენტია. მისი უდიდესი ნაწილი **უდაბნოს** უჭირავს. შედარებით ნესტიანი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილია.

ავსტრალია მოსახლეობის სიმრავლით არ გამოირჩევა. კონტინენტებს შორის იქ ყველაზე ცოტა ადამიანი ცხოვრობს. მისი ძირძველი მოსახლეობა დღემდე მისდევს ძველებურ ადათ-წესებს. აბორიგენების ცნობილი იარაღი არის ბუმერანგი. იგი ნადირობის დროს გამოიყენება. თუ ჰაერში ტყორცნის შემდეგ მიზანს ვერ მოხვდა, ბუმერანგი მფლობელს უკან უბრუნდება.

ავსტრალიაში ფართოდ გავრცელებული საქმიანობა არის მეცხვარეობა. შეიძლება გაგეცინოს, მაგრამ აქ ცხვრების რაოდენობა მოსახლეობის რიცხვს ხუთჯერ აღემატება.

ავსტრალია საინტერესოა იშვიათი ჯიშის მცენარეებითა და ცხოველებით. ტყეში შეხვდები კოალას, რომელსაც დათვს ეძახიან. თუმცა მას დათვთან არაფერი აქვს საერთო. აქვე ბინადრობს ყველაზე ცნობილი ჩანთოსანი კენგურუ. მისი ნაშიერი ძალიან პატარა და **უსუსურია**. იგი როგორც კი დაიბადება, დედის ჩანთაში მოკალათდება ხოლმე.

ავსტრალიაში გვხვდება უცნაური ფრინველი კივი. მას პატარა და განუვითარებელი ფრთები აქვს, ამიტომაც ვერ დაფრინავს. კივის ბუმბული უფრო ცხოველის ბეწვს წააგავს. თუ გაგიმართლა, ავსტრალიის ტყეებში ნახავ თუთიყუშ კაკადუს. თუმცა იგი ბუნებაში სულ უფრო ნაკლებად გვხვდება, რადგან ძირითადად მოშინაურებული ჰყავთ. აქ ბინადრობს მსოფლიოში უდიდესი ფრინველი ემუ. ის სირაქლემის ერთ-ერთი სახეობაა. ემუს ხორცისა და ცხიმის გამო იშინაურებენ კიდეც.

აი, ასეთია ყველაზე პატარა კონტინენტი. თუ დაინტერესდი, აუცილებლად ესტუმრე მას, როცა გაიზრდები.

რა გაიგე ახალი და საინტერესო ავსტრალიის შესახებ?

კომპონენტი: *მთავარი იდეა და დეტალები*, **დონე:** *4.3*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 მეორე აბზაცის ძირითად აზრს გადმოსცემს წინადადება:

ა) მარჯანი არის ცოცხალი ორგანიზმი და მას აქვს საცეცები.

ბ) მარჯნის პოლიპების ულამაზესი სამყარო ჯეიმს კუკმა აღმოაჩინა.

გ) მსოფლიოში უდიდესი ბარიერული რიფი ავსტრალიის სანაპიროზეა.

2 ტექსტის მიხედვით, ავსტრალიის მოსახლეობა:

ა) მთლიანად აბორიგენია.

ბ) მხოლოდ ნადირობით ირჩენს თავს.

გ) სიმრავლით არ გამოირჩევა.

3 რომელი დეტალი <u>არ ჩანს</u> ტექსტში?

ა) რამდენი ადამიანი ცხოვრობს ავსტრალიაში.

ბ) რა საქმიანობას მისდევენ ავსტრალიელები.

გ) რით გამოირჩევიან ავსტრალიელი აბორიგენები.

4 თუთიყუშ კაკადუს ტყეში იშვიათად შეხვდები, რადგან:

ა) იგი გადაშენების პირას მყოფი ფრინველია.

ბ) იგი ძალიან მშიშარაა და ადამიანებს გაურბის.

გ) იგი ძირითადად მოშინაურებული ჰყავთ.

5 ტექსტის მთავარი მიზანია გაგვაცნოს:

ა) რატომ იშინაურებენ ავსტრალიელები ემუს.

ბ) რით გამოირჩევა ავსტრალიის კონტინენტი.

გ) რისთვის იყენებენ აბორიგენები ბუმერანგას.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ავსტრალია ბევრი რამით არის **გამორჩეული**.

   ა) განსაკუთრებული. ბ) გასაოცარი. გ) უცნაური.

2. ავსტრალიის სანაპიროზეა მსოფლიოში უდიდესი **ბარიერული** რიფი. **ბარიერული** ნიშნავს:

   ა) განსხვავებულს. ბ) დამაბრკოლებელს. გ) ღისშესანიშნავს.

3. ავსტრალიის კონტინენტის დიდი ნაწილი **უდაბნოს** უკავია. **უდაბნო** ჰქვია:

   ა) ნესტიან, გამწვანებულ, დაუსახლებელ ადგილს.

   ბ) უკაცრიელ, უღრან, დაუსახლებელ ადგილს.

   გ) უწყლო, უმცენარო, დაუსახლებელ ადგილს.

4. კენგურუს ნაშიერი ძალიან პატარა და **უსუსურია**.

   ა) მშიშარაა. ბ) სუსტია. გ) ფრთხილია.

2 ხაზებით დააკავშირე ერთმანეთთან სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. რიფი	ზღვის ან ოკეანის წყლის დონის პერიოდული კლება.
2. კონტინენტი	წყალქვეშა კლდე.
3. მიქცევა	ხმელეთის დიდი ფართობი, გარშემორტყმული ზღვებითა და ოკეანეებით.

4 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) გასაოცარი – უჩვეულო. ბ) მშრალი – ნესტიანი. გ) ცნობილი – განთქმული.

▶▶▶ გრამატიკა

1 ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები დაწერე სწორი ფორმით.

1. ავსტრალია მდებარეობს დედამიწის *(სამხრეთი)* ———————————— ნაწილში.
2. მარჯანი *(წყალი)* ———————————— ცოცხალი ორგანიზმია.
3. *(ავსტრალია)* ———————————— ტყეებში ბინადრობს კაკადუ.
4. ბარიერული რიფი არის *(მარჯანი)* ———————————— რიფების დიდი ჯაჭვი.

გრამატიკა

2 **დააკვირდი კითხვით სიტყვებსა და ნიმუშს. დაწერე სიტყვები სწორი ფორმით.**

როგორი?	*რა?*
მშრალი	*სიმშრალე*
1. ლამაზი	
2. წყნარი	
3. მრავალი	

3 **რომელი <u>არ არის</u> სწორი?**

1. ა) ალბად. ბ) ზუსტად. გ) სწორედ.
2. ა) ადათ-წესები. ბ) ერთ-ერთი. გ) წყალ-ქვეშ.

წერა

1 **ამოიწერე ტექსტიდან ავსტრალიის ყველა მახასიათებელი და შეავსე სქემა.**

მდებარეობა	
ჰავა	
მოსახლეობის საქმიანობა	
ცხოველები	
ფრინველები	

3 **წარმოიდგინე, რომ ავსტრალიაში მიემგზავრები. დაწერე, ჯერ რას ნახავდი და რატომ.**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____